შეთანხმება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2019 წლის 9 ივლისს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი 25 თებერვალი, 2022 წელი

ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში - „სააგენტო“, მის: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა N7, წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის ირაკლი თავართქილაძის მიერ - პ/ნ: 01024052796) და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (ს/ნ: 201990079) (შემდგომში - „ქონების შემძენი“, მის: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N76ა, წარმოდგენილი მისი --- [illegible] (პ/ნ: 59001000133) ---------------------------მიერ), ცალცალკე და ერთად წოდებული როგორც - „მხარეები“,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2019 წლის 9 ივლისს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) გათავისუფლების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 9 თებერვლის N22.139.153 განკარგულებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2019 წლის 9 ივლისს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N35 განკარგულების შესაბამისად და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2019 წლის 9 ივლისს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი

ირაკლი თავართქილაძე

[illegible]

განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულების“ მე-8 პუნქტის 8.5. ქვეპუნქტის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:
   1.1. შეიცვალოს ხელშეკრულების მე-3 პუნქტის 3.1 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1. საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე ერთი ხელოვნურსაფარიანი სტანდარტული საფეხბურთო მოედნის „შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით) და ერთი მინი საფეხბურთო მოედნის (შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით) მოწყობა არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივლისისა“.

   1.2. შეიცვალოს ხელშეკრულების მე-5 პუნქტის 5.13 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.13. ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების შესახებ ინფორმაციას ქონების შემძენი ადასტურებს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან/და მხარეთა შორის წინასწარ წერილობით შეთანხმებული, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აკრედიტებული აუდიტორული კომპანიის/აუდიტორის მიერ გაცემული საექსპერტო/აუდიტორული დასკვნით“.

2. შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ექვემდებარება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში (მარეგისტრირებელ ორგანოში) წარდგენას. რეგისტრაციის ხარჯების დაფარვა ეკისრება ქონების შემძენს.
3. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე დავის არსებობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.
4. შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს), დანარჩენი გადაეცემა მხარეებს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

ირაკლი თავართქილაძე (პ/ნ: 01024052796)

ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (ს/ნ: 201990079)

წარმომადგენელი:
